ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2374612

ნომერი: AR1366815

თარიღი : 25.12.2015

გაცემის თარიღი : 05.01.2016

გაცნობის თარიღი : 06.01.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზა , ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის/ ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზა , ავტოგასამართ სადგურებს "იორი"-სა და "შოვს" შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ზაქარეიშვილი პ/ნ 01021007407
- თბილისი თემქა IV მ/რ კორ. 3ა ბ. 43

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1366815 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიდუბე რაიონი, საქართველოს სამხედრო გზა, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის/ქალაქი თბილისი, საქართველოს სამხედრო გზა,ავტოგასამართ სადგურებს " იორი"-სა „შოვს" შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N#01.13.01.022.134) საზღვრების კორექტირებას; პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-104 დადგენილებითდამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2–3 მუხლებისთანახმად, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს კანონით გათვალისწინებული საქმიანობისგანხორციელებას.

გაცნობებთ, რომ მოთხოვნილ ტერიტორიაზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება შეზღუდვა (გამწვანების სპეციალური ზონა), ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ 31.03.2006 წლის დადგენილება N41-ით საქართველოს სამხედრო გზის, ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის მდებარე დიღმის ტყე-პარკის გამწვანების სპეციალურ ზონად გამოყოფის შესახებ. შესაბამისად რაიმე ფორმით ჩარევა და მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge